ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 34

2015 წ. "04" 09

ქ.თბილისი

შპს რწმენისათვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს რწმენას (საიდენტიფიკაციო კოდი:445387046) გაუუქმდეს ავტორიზაცია.
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 4 სექტემბრის №6 სხდომის ოქმის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
რევაზ აფხაზავა

მდივანი
მაია მაღლაკელიძე